

ძალაშია 1995 წლის 16 სექტემბრიდან

## ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობა, შემდგომში “მონაწილე მხარეებად” წოდებულნი, იღებენ რა მხედველობაში ქვეყნებს შორის ორმხრივი ხელსაყრელი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას, მიისწრაფვიან რა ორ ქვეყანას შორის და მათ ტერიტორიებზე გრანზიტად საავტომობილო მიმოსვლის შემდგომი განვითარებისაკენ, ამასთან სურვილი აქვთ რა გაამარტივონ მიმოსვლები

შეთანხმდნენ შემდეგზე:

#### მუხლი 1

ამ ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება მგზავრების, მათ შორის ტურისტების გადაყვანა და გვირთების გადაზიდვა რეგულარულად და არარეგულარულად, მათ ტერიტორიებზე გრანზიტით, იმ ვიზებზე, რომლებიც გახსნილია საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლისათვის საქართველოს რესპუბლიკაში და აზერბაიჯანის რესპუბლიკაში რეგისტრირებული ავტოსაგრანსპორტო საშუალებებისათვის.

#### მუხლი 2

განსაზღვრებანი:

ტერმინი “გადამზიდავი” ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, ულებამოსილს გადაიყვანოს მგზავრები ან გადაზიდოს გვირთი მონაწილე ქვეყნების კანონების, წესებისა და დადგენილებების გათვალისწინებით.

ტერმინი “საგრანსპორტო საშუალება” ნიშნავს:

ა) გვირთების გადაზიდვის დროს – საგვირთო ავტომობილი, საგვირთო ავტომობილი მისაბმელით, საავტომობილო მაწვევარი ან საავტომობილო მაწვევარი ნახევარ მისაბმელით;

ბ) მგზავრების გადაყვანის დროს – ავტობუსი, ანუ ავტოსაგრანსპორტო საშუალება, რომელიც განსაზღვრულია მგზავრების გადასაყვანად და რომელსაც გააჩნიათ არა ნაკლებ 8 დასაჯდომი ადგილი, მძღოლის ადგილის ჩათვლელად და აგრეთვე მგზავრების გვირთის გადასაგანად მისაბმელი;

ტერმინი “ნებართვა” (“გავლის დოკუმენტი”) ნიშნავს დოკუმენტს, რომელიც ნებას რთავს ერთი მონაწილე მხარის საგრანსპორტო საშუალების შესვლას, გამოსვლას და გრანზიტით გავლას მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე.

ტერმინი “ქვოტა” ნიშნავს ნებართვათა რაოდენობას გაცემულს ყოველწლიურად თითოეული მონაწილე მხარის უფლებამოსილი პირების მიერ.

გერმინი "მგზავრთა გადაყვანა დახურული კარით" ( "მგზავრთა გურისგული გადაყვანა") ნიშნავს ერთი და იგივე მგზავრების ჯგუფის ერთი და იგივე საგრანსპორტო საშუალებებით ჩაჯდომის პუნქტიდან დაბრუნების პუნქტამდე გადაყვანას, ამასთან ორივე ეს პუნქტი მდებარეობს იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელშიც რეგისტრირებულია საგრანსპორტო საშუალება.

გერმინი "გრანზიგული გადაზიდვა" ნიშნავს მგზავრების გადაყვანას და გვირთის გადაზიდვას ერთ\_ერთი მონაწილე მხარის ტერიტორიის გავლით ორ პუნქტს შორის, რომელიც არ იმყოფება აღნიშნული მხარის ტერიტორიაზე.

### მუხლი 3

არცერთ მონაწილე მხარეს არ შეუძლია დაუწესოს საექსპორტო ან საიმპორტო გადასახადი (საბაჟო გადასახადის ჩათვლით) მეორე მონაწილე მხარის საგრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც გრანზიგს განახორციელებენ თავიანთ ტერიტორიაზე, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა) გადასახადი ფასიანი საგზაო ინფრასტრუქტურების ქსელის გამოყენებისათვის (ბეგარა გზებზე და ხიდებზე);

ბ) გადასახადი არადისკრიმინაციულ საფუძველზე, რათა დაიფაროს სხვაობა საწვავის საერთაშორისო და სახელმწიფო ფასებს შორის;

გ) გადასახადი, თუკი წონა, მოცულობა ან საგრანსპორტო საშუალების გვირთი აღემატება განსაზღვრულ ნორმებს მონაწილე მხარეების სახელმწიფო კანონმდებლობის მიხედვით;

დ) გადასახადი, თუკი ორივე მონაწილე მხარის მიერ შეთანხმებული ქვოგის გეგმით ერთ\_ერთი მონაწილე მხარის ავტომობილები ახორციელებენ გადაზიდვებს მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე. ეს საკითხი რეგულირდება სპეციალური ოქმით.

### ერთობლივი კომისიები

### მუხლი 4

1. უნდა ჩამოყალიბდეს შერეული კომისია ორივე მონაწილე მხარის წარმომადგენლების შემადგენლობით. შერეულ კომისიას შეუძლია შესწორება შეიგანოს და დახვეწოს ამ ხელშეკრულების ნებისმიერი მუხლი და დასამტკიცებლად წარუდგინოს სათანადო კომპეტენტური ორგანოებს.

2. შერეული კომისია შეიკრიბება საჭიროების შემთხვევაში ერთ\_ერთი მონაწილე მხარის თხოვნით ან საქართველოში ან ამერბაიჯანში.

### მგზავრების გადაყვანა

### მუხლი 5

**1. ერთი მონაწილე მხარის გადაზიდვებმა უნდა განახორციელოს რეგულარული ან გრანზიგული მომსახურება მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე სპეციალური ყოველწლიური ნებართვების საფუძველზე, რომლებიც გაცემულია მეორე მონაწილე მხარის კომპეტენტური ორგანოების მიერ.**

2. ერთი მონაწილე მხარის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საგრანსპორტო საშუალების მიერ განხორციელებული "მგზავრების გადაყვანა დახურული კარით" მომსახურებას მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიისაკენ ან ტერიტორიიდან არ საჭიროებს ნებართვას.

## ტვირთის გადაზიდვა

### მუხლი 6

ტვირთის გადაზიდვა მონაწილე მხარეებს შორის ან გრანზიტით მათი ტერიტორიების გადაკვეთისას საჭიროებს წინასწარი ნებართვების მიღებას გამომდინარე დადგენილი ქვოტებითან, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- ა) გარდაცვლილთა გადაყვანა;
- ბ) ხელოვნების ნიმუშების გადაზიდვა;
- გ) დაზიანებული და წყობიდან გამოსული საგრანსპორტო საშუალებების გადაზიდვა;
- დ) საფოსტო გზავნილების გადაზიდვა;
- ე) შემთხვევითი ტვირთის გადატანა აეროპორტისაკენ და პირიქით;
- ვ) სტიქიური უბედურების დროს დაზიანების საგნების გადაზიდვა;
- ზ) ბაზრობებისა და გამოფენებისათვის ტვირთის გადაზიდვა;
- თ) სხვა შემთხვევები, რომლებიც მოითხოვენ შერეული კომისიის შეთანხმებებს.

### ნებართვები

### მუხლი 7

1. ტვირთების ყოველი გადაზიდვისათვის გაცემული უნდა იქნას ცალკეული ნებართვა, რომელიც ერთი რეისის განხორციელების უფლებას იძლევა. გაცემული ნებართვა იძლევა მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე დატვირთვის უფლებას, თუ ამ ნებართვაში სხვა რამ არ არის ნაგულისხმევი.

**2. ნებართვა ძალაშია ერთი წლის განმავლობაში და შემდეგი წლის ნებართვა გაიცემა ყოველი წლის ნოემბერში. დამატებითი ნებართვები გაიცემა საჭიროების შემთხვევაში ორივე მონაწილე მხარის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.**

საგრანზიტო ნებართვა ძალაშია ერთჯერადი საგრანზიტო მგზავრობისათვის მონაწილე მხარეების ტერიტორიაზე;

3. ნებართვა ძალაშია მხოლოდ ერთი საგრანსპორტო საშუალებისა და მხოლოდ იმ მძღოლისათვის, ვისზედაც გაცემული იყო სათანადო ორგანოების მიერ და გადაცემას არ ექვემდებარება.

მონაწილე მხარეების კომპეტენტური ორგანოები შეთანხმდებიან ამ ნებართვების ფორმის და გაცემის წესების თაობაზე.

### სპეციალური გრანსპორტირება

### მუხლი 8

1. იარაღის, საომარი და ასაფეთქებელი საშუალებების და სამხედრო მოწყობილობების გადაზიდვა მონაწილე მხარეებს შორის ან გრანზიტით რომელიმე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე საჭიროებს სპეციალურ ნებართვას.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც საშიში ტვირთის გადაზიდვას ესაჭიროება სპეციალური ნებართვა, გადაზიდვამა ეს სპეციალური ნებართვა უნდა მიიღოს მეორე მონაწილე მხარის კომპეტენტური ორგანოებისაგან.

3. გრანზიგის უფლება არ ვრცელდება ნივთებზე, რომელთა გაგანა აკრძალულია ადამიანთა, ცხოველთა და მცენარეთა ჰიგიენური სტრანდარტების დაცვის გათვალისწინებით.

4. როდესაც დაგვირთული ან დაუგვირთავი ავტოსაგრანსპორტო საშუალების წონა და გაბარიტები აღემატებიან მეორე მონაწილე მხარის ნორმებს, გადამზიდავმა მეორე მონაწილე მხარის კომპეტენტური ორგანოებისაგან უნდა მიიღოს სპეციალური ნებართვა.

5. თუ წინამდებარე მუხლის 1 და 2 პარაგრაფებში ნახსენები ნებართვები ითვალისწინებენ ავტოსაგრანსპორტო საშუალების მოძრაობის რაიმე გარკვეულ მარშრუტს, მაშინ გადაზიდავა უნდა განხორციელდეს ამ მარშრუტის მიხედვით.

## მუხლი 9

საერთაშორისო გვირთის გადაზიდავა საავტომობილო გზით ამ ხელშეკრულების თანახმად უნდა ექვემდებარებოდეს საერთაშორისო გვირთის გადაზიდვის კონვენციის მოთხოვნილებებს "TIR CARNETS", სახელმწიფო კანონებსა და დადგენილებებს.

## მუხლი 10

ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადაზიდვები სრულდება მარტო იმ გადაზიდველების მიერ, რომელთაც მათი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად უფლება აქვთ შეასრულონ საერთაშორისო გადაზიდვები, ნებართვა, რომელიც გაცემულია გადაზიდველზე მოქმედებს მხოლოდ მისთვის და სხვა პირებზე გადაცემას არ ექვემდებარება.

მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული გვირთების გადაზიდავა უნდა განხორციელდეს ბედებულებით საერთაშორისო ნიმუშების შესაბამისად.

## შერეული გადაწყვეტილებანი

## მუხლი 11

### აკრძალვა შინაგან გრანსპორტირებაზე

გადამზიდავს მხარეთა შეთანხმების გარეშე ეკრძალება მგზავრების გადაყვანა და გვირთის გადაზიდავა მეორე მონაწილე მხარის ორ პუნქტს შორის კომპეტენტური ორგანოების თანხმობის გარეშე.

## მუხლი 12

გადამზიდავს შეუძლია განახორციელოს გადაზიდვები მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიიდან მესამე ქვეყანაში და აგრეთვე მესამე ქვეყნის ტერიტორიიდან მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, თუ მან ამის განხორციელებისათვის მეორე მხარის კომპეტენტური ორგანოებისაგან მიიღოს სპეციალური ნებართვა.

## მუხლი 13

**საერთაშორისო გადაზიდვები წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ყოველი ავტოსაგრანსპორტო საშუალების სამოქალაქო პასუხისმგებლობის წინასწარი დაზღვევის პირობით.**

## მუხლი 14

წინამდებარე ხელშეკრულების დებულებების დარღვევის შემთხვევაში იმ მონაწილე მხარის კომპეტენტური ორგანოები, სადაც რეგისტრირებულია ავტოსაგრანსპორტო საშუალება, მეორე მონაწილე მხარის კომპეტენტური ორგანოების მიხედვით თხოვნით, სადაც აღვილი ჰქონდა დარღვევას, თავისი ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის დამოუკიდებლად, ვალდებული არიან განახორციელონ

ერთ-ერთი შემდეგი ღონისძიება:

ა) გააფრთხილონ გადამზიდავი;

ბ) გააფრთხილონ გადამზიდავი იმ განცხადებით, რომ დარღვევის გამეორების შემთხვევაში მას ჩამოერთმევა ნებართვა გადამზიდავის განხორციელებისათვის გარკვეული დროით ან გაუქმებული იქნება მოცემული მუხლის გ) პარაგრაფის მიხედვით;

გ) გადადონ გარკვეული ვადით ან გააუქმონ ნებართვის მოქმედება გაცემული წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე.

2. მონაწილე მხარეების კომპეტენტური ორგანოები აცხობინებენ ერთმანეთს მიღებული ზომების შესახებ.

## მუხლი 15

ორივე მხარე მიიღებს ყველა საჭირო ზომას იმ საბაჟო და სხვა ფორმალობების მაქსიმალურად შემსუბუქების, გამარტივებისა და დაჩქარებისათვის, რომლებიც ეხებიან მგზავრთა გადაყვანასა და გვირთების გადაზიდვას.

## საწვავი

## მუხლი 16

საწვავი, რომელიც მოთავსებულია ყველა მოდელის ავტოსაგრანსპორტო საშუალებების გათვალისწინებულ საწვავ ავზებში და რომელიც ძრავის კვების სისტემასთან კონსტრუქციულად და ტექნოლოგიურად არის დაკავშირებული თავისუფლდება საბაჟო და ყველა სხვა სახის გადასახადებისაგან.

## სათადარიგო ნაწილები

## მუხლი 17

გამოუყენებელი საავტომობილო ნაწილები ექვემდებარება უკან დაბრუნებას, ხოლო შეცვლილი სათადარიგო ნაწილები გაგანილი უნდა იქნეს ქვეყნიდან ან განადგურდეს იმ წესებით, რომელიც მონაწილე მხარეების ტერიტორიაზეა დადგენილი.

## მუხლი 18

უბედური შემთხვევების, დაზიანების და სხვა სიძნელეების შემთხვევაში, მონაწილე მხარის კომპეტენტურმა ორგანოებმა, რომლის ტერიტორიაზეც აღვილი ექნება შემთხვევას, უნდა მოაწოდოს მეორე მონაწილე მხარეს ყველა საჭირო ინფორმაცია შემთხვევის, მისი შედეგებისა და გამოძიების გარშემო.

## მუხლი 19

### ეროვნული კანონების გამოყენება

საგრანსპორტო საშუალებები და მათი ეკიპაჟი, რეგისტრირებული ერთი მონაწილე მხარის მიერ, უნდა დაემორჩილოს მეორე მონაწილე მხარის საგზაო კანონებსა და დადგენილებებს. გრანსპორტირებასთან დაკავშირებული ყველა სხვა შემთხვევა, რომელიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, უნდა ექვემდებარებოდეს მონაწილე მხარეების კანონებს, დადგენილებებსა და წესებს.

## მუხლი 20

### კომპეტენტური ორგანოები

წინამდებარე ხელშეკრულების განხორციელებისათვის პასუხისმგებელ კომპეტენტურ ორგანოებს წარმოადგენენ:

1. საქართველოს რესპუბლიკაში – გრასპორტის სამინისტრო;
2. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში – სახელმწიფო კონცერნი “აზერბაეგონეგლიტი”.

ეს ხელშეკრულება ძალაში შედის სარაგვიფიკაციო ნოტების გაცემის დღიდან მონაწილე მხარეების სახელმწიფო კანონმდებლობის მიხედვით და რჩება ძალაში 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

ეს ხელშეკრულება ავტომატიურად განახლდება ყოველწლიურად, თუკი რომელიმე მონაწილე მხარე წერილობითი ფორმით არ გამოხატავს სურვილს მისი შეწყვეტის შესახებ ვადის გასვლამდე სულ ცოცა 3 (სამი) თვით ადრე.

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 1993 წლის 3 თებერვალს ქ. ბაქოში სამ ეგზემპლარად, ქართულ, თურქულ და რუსულ ენებზე, ამასთან ყველა გექსტს თანაბარი ძალა აქვს. ქართულ და თურქულ ტექსტებში უთანხმოების შემთხვევაში მოქმედებაში იქნება რუსული ტექსტი.

საქართველოს რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით

აზერბაიჯანის რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით